საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 44

20/08/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N19ა -ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05 კვმ. ფართობისა და არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების 400 კვმ. მიწის ფართობის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე (DVV International) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ"ქვეპუნქტის,122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. N19ა -ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05 კვმ. ფართობი და არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების 400 კვმ. მიწის ფართობი ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისს (DVV International) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე